№1677 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

„კლინიკების განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კლინიკების განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1588 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობაში (დანართი №1) საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – ეკონომიკური საბჭოს მდივნის მოადგილის ნაცვლად შეყვანილ იქნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – ეკონომიკური საბჭოს წარმომადგენელი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**